



**ახალგაზრდა
პედაგოგთა კავშირი**

პროექტი
„განათლების სისტემის სამართლებრივი მონიტორინგი გურიის
რეგიონის მაგალითზე“

გურიის მხარის საჯარო სკოლების სამართლებრივი მონიტორინგის ანგარიში

პროექტი დაფინანსებულია ევრაზიის თანამშრომლობის
ფონდის მიერ შვეიცარიის საერთაშორისო განვითარების
სააგენტოს (SIDA) სახსრებით



**ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი**

**ოზურგეთი
2009 — 2010**

პროექტის დირექტორი: **მარინა თოფურია**

სამუშაო ჯგუფი: **ლევან მყავანაძე
მზია მეხუზლა
თეა კუპრაძე**

მონიტორინგის ჯგუფი: **გიორგი გირკელიძე
თეა იოსელიანი
ნანა სანიკიძე
ნინო ნიკოლაიშვილი
ქეთევან თოიძე
სოფო კოსტავა
თაკო კურტანიძე**

პროექტის სამუშაო და მონიტორინგის ჯგუფების წევრები დიდ მადლობას ვუხდით ექსპერტ ლევან მოსახლიშვილს მონიტორინგის დროს გაწეული კონსულტაციისთვის.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ოფიციალურ პოზიციას.

წინასიტყვაობა

ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ რამდენიმე წელია, მუშაობს ზოგადი განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე. ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საჯარო სკოლების დემოკრატიზაციის ხელშეწყობა და კანონიერების პრინციპის დამკვიდრებაა. წლების განმავლობაში საჯარო სკოლებთან მუშაობისას გამოიკვეთა მრავალი სამართლებრივი პრობლემა, რომლებიც კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას საჭიროებს. პირველ რიგში, ეს შეეხება ზოგადი განათლების მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზას. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა საჯარო სკოლების სამართლებრივი მონიტორინგის განხორციელება, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდს სამოქალაქო სექტორისთვის, რომლის კონტროლის ინსტრუმენტების კომპლექსი საქმოდ შეზღუდულია.

აღნიშნული პროექტის შემთხვევაში მონიტორინგს ეკისრებოდა შემეცნებითი და დამხმარე ფუნქცია. მართალია, საწყისი ინფორმაცია მიგვანიშნებდა განათლების სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემების არსებობის შესახებ, თუმცა უცნობი იყო არამართო მათი მასშტაბი, არამედ ის, თუ ზუსტად რა უნდა შეცვლილიყო ზოგადი განათლების კანონმდებლობაში ამ დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ასევე აუცილებელი იყო ფაქტობრივი მასალების შეგროვება, რათა დაგვერწმუნებინა სახელმწიფო ორგანოები ცვლილებების აუცილებლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სფეროში მრავალი სამოქალაქო მონიტორინგი ჩატარებულა, არც ერთი მათგანი არ ისახავდა მიზნად ზოგადი განათლების სამართლებრივ შეფასებას.

პროექტის ფარგლებში ჩვენი ძალისხმევით შეიქმნა ფართო მონაწილეობაზე დაფუძნებული სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ერთწლიანი მუშაობის შედეგად მომზადდა თქვენ წინაშე წარმოდგენილი ანგარიში. მას საფუძვლად უდევს მონიტორინგის ფარგლებში გამოთხოვნილი ინფორმაცია, ფოკუს-ჯგუფის მუშაობისა და ინტერვიუების დროს საჯარო სკოლების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ იქნა როგორც განათლების რეფორმის დადებითი მხარეები, ასევე წარმოჩნდა ზოგადი განათლების სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემები. ვფიქრობთ, მონიტორინგის ანგარიში დახმარებას გაუწევს ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებით დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს.

მონიტორინგის ჯგუფი

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
1. მოკლე ინფორმაცია განხორციელებული სამართლებრივი მონიტორინგის შესახებ.....	7
1.1 ზოგადი ნაწილი	7
1.2 მონიტორინგის გეოგრაფია	8
1.3. მონიტორინგის ჩატარების მეთოდოლოგია	10
2. ძირითადი ნაწილი	11
2.1. ზოგადი განათლების სისტემა საქართველოში	11
2.2. სკოლა, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება	14
2.3. მონიტორინგის შედეგები.....	18
2.3.1. კანონით დაკისრებული ფუნქციების შესრულების მონიტორინგი	18
2.3.2. საჯარო სკოლის სამართლებრივი დოკუმენტაციის მონიტორინგი.....	26
2.3.3. სკოლის შინაგანაწესი — სკოლის შიდა ნორმატიული აქტი	28
2.4. საერთო დასკვნა	30
2.5. რეკომენდაციები.....	31
დანართების ჩამონათვალი.....	32

1. მოკლე ინფორმაცია განხორციელებული სამართლებრივი მონიტორინგის შესახებ

1.1 ზოგადი ნაწილი

პროექტი „განათლების სისტემის სამართლებრივი მონიტორინგი გურიის რეგიონის მაგალითზე“, რომელსაც ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ ახორციელებდა 2009 წლის ოქტომბრის თვიდან, მიზნად ისახავდა გურიის რეგიონში საჯარო სკოლების საკითხების შემსწავლელი სამოქალაქო მონიტორინგის მდგრადი ინსტრუმენტის შექმნას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ გურიის მასმედიის, თემებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, შეიქმნა სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენდა:

- საჯარო სკოლების გარე მონიტორინგის ჯგუფის შექმნა და ჯგუფის წევრების აღჭურვა მონიტორინგის წარმოების უნარ-ჩვევებით
- საჯარო სკოლის სამართლებრივი მონიტორინგის განხორციელება და ინფორმაციის შეგროვება ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მაგალითებზე დაყრდნობით
- განათლების სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე
- განათლების სისტემაში მოქმედი ნორმატიული აქტებისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების ანალიზი; შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება

სამართლებრივი მონიტორინგის პროცესი მიმდინარეობდა 2009 ოქტომბრიდან 2010 წლის 15 მაისამდე და მის განხორციელებაში მონაწილეობდნენ როგორც ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“, ასევე გურიის მასმედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (იხ. დანართი 1).

სამართლებრივი მონიტორინგი განხორციელდა რამდენიმე ეტაპად.

პირველ ეტაპზე:

- ჩამოყალიბდა სამონიტორინგო ჯგუფი და განისაზღვრა მისი წევრების უფლება-მოვალეობები.

- მომზადდა მონიტორინგის განხორციელების ინსტრუმენტები; განისაზღვრა გამოკვლევის გეოგრაფია, მეთოდოლოგია, სამიზნე სკოლები; საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად შეირჩა ფოკუს-ჯგუფებისა და რესპოდენტების ე. წ. ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი.
- შედგა და დაზუსტდა სამიზნე სკოლების, მათი წარმომადგენლების სიები.
- მოძიებულ და შესწავლილ იქნა საკანონმდებლო ბაზა, დაკავშირებული საჯარო სკოლების საქმიანობასთან.

მეორე ეტაპზე შესწავლილ იქნა საჯარო სკოლების აღმასრულებელი სტრუქტურების მიერ წარმოებული სავალდებულო თუ ფაკულტატიური დოკუმენტები (წესდებები, შინაგანაწესები, სტრუქტურების დებულებები, ბრძანებები, ოქმები, გეგმები, სკოლების ბიუჯეტები) მათი სამართლებრივი ხარისხისა და საკმარისობის დასადგენად.

- ამავე ეტაპზე გაიშიფრა და დამუშავდა მოპოვებული დოკუმენტები.
- მომზადდა კითხვარი (იხ. დანართი 2) და ჩატარდა ინტერვიუები სამიზნე პირებთან (საჯარო სკოლების დირექციები).

მესამე ეტაპზე ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელმაც საშუალება მოგვცა:

- მიგველო დამატებითი ინფორმაცია საჯარო სკოლების მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შესახებ.
- გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები და მათი დამოკიდებულება საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებასთან.

მეოთხე ეტაპზე გაანალიზდა შეკრებილი ინფორმაცია, შემუშავდა რეკომენდაციები და მომზადდა მონიტორინგის ანგარიში.

მეხუთე ეტაპზე ლობისტმა მონიტორინგის შედეგები გააცნო პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ ცვლილებების შეტანის მიზნით.

1.2 მონიტორინგის გეოგრაფია

სამართლებრივი მონიტორინგი განხორციელდა გურიის სამივე მუნიციპალიტეტში. ინფორმაციის მაქსიმალური სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით გურიის რეგიონში არსებული ყველა საჯარო სკოლიდან (95 საჯარო სკოლა) შერჩეულ იქნა შემდეგი 15 სკოლა:

ოზურგეთის 1, 2, მერიის, შემოქმედის, ნასაკირალის, ლიხაურის, ნატანების, ლანჩხუთის 1 და 2, ლესის, სუფსის, ჩოხატაურის 1, შუა განახლების, ხიდისთავისა და ბუკნარის საჯარო სკოლები (სკოლების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. დანართი 3).

სკოლები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

ა) კონტინგენტი – შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა და სამიზნე სკოლებად შერჩეულ იქნა რო-

გორც მაღალკონტინგენტიანი, ასევე დაბალკონტინგენტიანი სკოლები.

ბ) გეოგრაფიული მდებარეობა — სკოლები შერჩეულ იქნა მათი გეოგრაფიული სპეციფიკის გათვალისწინებითაც. მაგალითად, ერთი სკოლა განლაგებულია მაღალმთიან ზონაში, მეორე წარმოადგენს ტიპურ აგრარული ზონის სკოლას, მესამე — ურბანული დასახლებისას.

გ) დაფინანსების სისტემა — თითოეული საჯარო თუ კერძო სკოლა სახელმწიფოსაგან ლეზულობს ვაუჩერულ დაფინანსებას მოსწავლეთა რაოდენობისა და სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით: ქალაქში, სოფელსა და მაღალმთიან რეგიონებში ვაუჩერის ოდენობა განსხვავებულია.

დ) სკოლასთან პარტნიორობის გამოცდილება – 3 წელია, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ მუშაობს პარტნიორობად შერჩეულ სკოლებთან. პარტნიორობის მიზანი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული დემოკრატიული და გამჭვირვალე სკოლის განვითარების ხელშეწყობა სკოლის მართვის პროცესში მშობლებისა და მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით. შერჩევისას ამ კრიტერიუმის გათვალისწინებამ საშუალება მოგვცა, ერთმანეთისთვის შეგვედარებინა პარტნიორი და არაპარტნიორი სკოლები.

ცხრილი 1. შერჩეული საჯარო სკოლები

№	საჯარო სკოლის დასახელება	მუნიციპალიტეტი
1	ოზურგეთის 1 საჯარო სკოლა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
2	ოზურგეთის 2 საჯარო სკოლა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
3	მერიის საჯარო სკოლა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
4	შემოქმედის საჯარო სკოლა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
5	ნასაკირალის საჯარო სკოლა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
6	ლიხაურის საჯარო სკოლა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
7	ნატანების საჯარო სკოლა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
8	ლანჩხუთის 1 საჯარო სკოლა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
9	ლანჩხუთის 3 საჯარო სკოლა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
10	ლესის საჯარო სკოლა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
11	სუფსის საჯარო სკოლა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
12	ჩოხატაურის 1 საჯარო სკოლა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
13	შუა განახლების საჯარო სკოლა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
14	ხიდისთავის საჯარო სკოლა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
15	ბუკნარის საჯარო სკოლა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

1.3. მონიტორინგის ჩატარების მეთოდოლოგია

მონიტორინგის პროცესში და ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: გამოთხოვნილ დოკუმენტებზე მუშაობა, ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა და ინტერვიუ ბენეფიციარებთან.

ინდივიდუალური შეფასებები

დეტალური ინფორმაციის მოპოვების მიზნით ჩატარდა ინდივიდუალური შეფასებები 15 სკოლაში ორი ძირითადი მიმართულებით:

- ჩალრმავებული ინტერვიუები სამიზნე პირებთან
- სკოლის ადმინისტრაციებისა და სამეურვეო საბჭოების მიერ გამოცემული აქტების შესწავლა და შეფასება

ა) ინტერვიუები სამიზნე პირებთან

ინტერვიუები ჩატარდა მონიტორინგისათვის შერჩეული სკოლების დირექტორებთან. გამოყენებულ იქნა ჩალრმავებული ინტერვიუს მეთოდი. ინტერვიუ თითოეულ პირთან მოიცავდა შემდეგ თემებს: ზოგადი განათლების სისტემაში არსებული საკანონმდებლო გარემოს საკმარისობა და სამართლებრივი პრობლემები; სკოლების ფორმალური თუ არაფორმალური სტრუქტურების საქმიანობები.

ბ) გამოცემული და შემუშავებული აქტების შესწავლა

მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ შეწავლილ იქნა შერჩეული საჯარო სკოლების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები.

ფოკუს-ჯგუფი

ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა მონიტორინგის პროცესში ჩართული სკოლების წარმომადგენელთა მონაწილეობით საჯარო სკოლების წინაშე მდგარი პრობლემების შესასწავლად; ინდივიდუალური შეხვედრებისათვის დეტალური კითხვარის მომზადების მიზნით.

ფოკუს-ჯგუფის ჩატარებამ შესაძლებელი გახადა, მოგვეპოვებინა პირველადი ინფორმაცია მონიტორინგისათვის საჭირო საკითხებზე (მაგალითად, საჯარო სკოლების მარეგულირებელ კანონდებლობაში არსებული ხარვეზები). გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულება და მოსაზრებები საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების შესახებ.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადდა დეტალური კითხვარები ინდივიდუალური შეხვედრებისათვის.

2. ძირითადი ნაწილი


„ზვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა იმაშია და სხვა არაფერში“.

ილია

2.1. ზოგადი განათლების სისტემა საქართველოში

ზოგადი განათლების მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ზოგადი განათლების სისტემა წარმოადგენს უმაღლესი და პროფესიული განათლების ძირითად საფუძველს. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა სამსაფეხურიანია, მოიცავს 12 წელს და იყოფა სამ საფეხურად: დაწყებითი(6 წელი), საბაზო(3 წელი) და საშუალო(3 წელი).

სქემა 1. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა



განათლების სფეროში საკანონმდებლო რეფორმები პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში განხორციელდა სამჯერ — 1994, 1997 და 2005

წლებში. 1994 წელს მიღებული კანონი „არასახელმწიფო საერო სკოლების შესახებ“ არეგულირებდა ურთიერთობას არასახელმწიფო საერო სკოლებთან, თუმცა ყურადღების მიღმა ტოვებდა საკითხს სახელმწიფო სკოლებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროინდელი კანონმდებლობით აგრძელებდნენ მუშაობას.

1997 წელს მიღებული „განათლების კანონი“ არსებითი ხასიათის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მანამდე არსებულ საბჭოთა მემკვიდრეობასთან შედარებით, ვინაიდან მან განსაზღვრა ზოგადი განათლების საფეხურები და მიზნები, თუმცა მასაც მრავალი ხარვეზი ჰქონდა, რის გამოც ვერ ახერხებდა გარკვეული საკითხების რეგულირებას.

2005 წელს მიღებული საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ რადიკალური ცვლილებები განხორციელდა ზოგადი განათლების სფეროში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. ზოგადი განათლების სისტემის რეფორმამდელი და რეფორმის შემდგომი მდგომარეობის საკვანძო საკითხების შედარება (1997 — 2005)

რეფორმამდელი (1997 — 2005)	რეფორმის შემდგომი (2005 წლის შემდეგ)
„სახელმწიფო სკოლა“ არ იყო იურიდიული პირი.	„სახელმწიფო სკოლა“ ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ¹ .
სკოლას არ ჰქონდა ავტონომია. იგი იმართებოდა ცენტრალიზებული სისტემით.	სკოლა გახდა ავტონომიური. სკოლის უმაღლესი თვითმმართველობის ორგანოა სამეურვეო საბჭო, რომელსაც ირჩევენ მშობლები, მასწავლებლები და უფროსკლასელები ² .
სკოლის დირექტორები ინიშნებოდა ცენტრალიზებული წესით, არჩევნების გარეშე.	სკოლის დირექტორებს ირჩევენ სკოლის სამეურვეო საბჭოები და ამტკიცებს მინისტრი ³ .
არსებობდა სახელმწიფო დაკვეთის სისტემა, რომლითაც ფინანსდებოდა სკოლა.	დაკვეთების სისტემა შეიცვალა მოსწავლეზე ორიენტირებული ვაუჩერული სისტემით ⁴ .
რეფორმამდე განსაზღვრული იყო მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა კლასში – 15.	რეფორმის შედეგად განისაზღვრა მაქსიმალური რაოდენობა — კლასში არ შეიძლება იყოს 30-ზე მეტი მოსწავლე ⁵ .
სწავლება ხორციელდებოდა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ერთი ტიპის სახელმძღვანელოებით თითოეულ საგანში.	გაიზარდა სახელმძღვანელოების რაოდენობა თითოეულ საგანში. სკოლას თავად აქვს უფლება, გააკეთოს არჩევანი გრიფირებულ სახელმძღვანელოებს შორის ⁶ .

არ არსებობდა ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა; არსებობდა კონკრეტული სასწავლო პროგრამები საგნების მიხედვით.	შემოღებულ იქნა ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც აერთიანებს ყველა სასწავლო საგანს ზოგადი განათლების სფეროში ⁷ .
არ არსებობდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ამსახველი ერთიანი დოკუმენტი.	დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ამსახველი ერთიანი დოკუმენტი ⁸ .
სასკოლო ოლქის სამმართველო და განათლების რაიონული განყოფილებები წარმოადგენდა სკოლების ზემდგომ ორგანოებს, რომლებიც მონაწილეობდნენ სკოლის ადმინისტრირებაში.	სასკოლო ოლქის სამმართველოებს და განათლების განყოფილებებს ჩაენაცვლა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები, რომლებიც წარმოადგენენ საკონსულტაციო ორგანოებს სკოლებისთვის ⁹ .
არ არსებობდა მოსწავლეთა თვითმმართველობები სკოლებში.	შეიქმნა მოსწავლეთა თვითმმართველობი. ¹⁰
დისციპლინა გავლენას ახდენდა მოსწავლის აკადემიურ შეფასებაზე.	კანონით დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით. ¹¹
არსებობდა 11-წლიანი სწავლება.	სწავლება გახდა 12-წლიანი ¹² .
არსებობდა შეფასების 5-ქულიანი სისტემა.	არსებობს შეფასების უფრო ზუსტი, 10-ქულიანი სისტემა ¹³
ინკლუზიური განათლება სკოლებში არ ხორციელდებოდა.	დაიწყო ინკლუზიური განათლების დაწერვა. ¹⁴

2005 წლიდან საქართველოს განათლების სისტემას დაემატა შემდეგი ახალი სტრუქტურები:

1. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი წარმოადგენს განათლების სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი ფუნქციაა ეროვნული სასწავლო გეგმის მომზადება, პილოტირება და დანერგვის ხელშეწყობა, ასევე საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ეროვნული შეფასების სისტემის შემუშავება, დანერგვა, ეროვნული და სხვა შეფასებების განხორციელება.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომლის უმთავრესი მიზანია სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა მასწავლებლის პროფესიუ-

ლი ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლების გზით. ცენტრი ახორციელებს მასწავლებელთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვას; შეიმუშავებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს; ამზადებს მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესს.

3. განათლების სფეროში აკრედიტაციის პირობების გამკაცრებამ გამოიწვია **განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის** შექმნა, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის შუამავალი რგოლის ფუნქციის შესრულების მიზნით შეიქმნა **საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები**, რომელთა უმთავრესი მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.


თავდაპირველად მათ მხოლოდ საკონსულტაციო დანიშნულება ჰქონდა, ხოლო 2008 წელს საჯარო სკოლებში მიმდინარე პროცესების კვლევისა და ზედამხედველობის ფუნქციები მიენიჭა.

რესურს-ცენტრი ვალდებულია, იზრუნოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადამიანური რესურსების განვითარებაზე შესაბამისი ღონისძიებებით (ტრენინგები, სემინარები და სხვა); თვალყური ადევნოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განათლების სფეროში მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებების შესრულებას.

2.2. სკოლა, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება

2005 წლის 15 სექტემბრიდან, მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს ყველა სახელმწიფო სკოლა დაფუძნებულ იქნა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი; არასახელმწიფო სკოლებს¹⁵ მიენიჭა კერძო სამართლის იურიდიული პირების სტატუსი.

სქემა 2. საჯარო სკოლების სტრუქტურა




პირობითი აღნიშვნები:

- საგადაღებულო სტრუქტურები
- ფაკულტატიური
- შესაძლო

საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ ზოგადსაგან-მანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს **პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და დისციპლინურ კომიტეტს**. დისციპლინური კომიტეტის გადამწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით შეიძლება წესდებით გათვალისწინებული იყოს **სააპელაციო კომიტეტის** არსებობაც.

საჯარო სკოლების სტრუქტურული ერთეულები თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველსაყოფად შეიმუშავებენ ან/და გამოსცემენ სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტაციას.

სქემა 3. საჯარო სკოლების სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული და გამოცემული სასკოლო დოკუმენტაცია



სამეურვეო საბჭო

სამეურვეო საბჭო წარმოადგენს საჯარო სკოლის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომლის უფლებამოსილების ვადა 3 წლით განისაზღვრება. მისი ძირითადი ფუნქცია სკოლის დირექტორის არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება და მონიტორინგია. საბჭო განიხილავს სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც, მაგალითად, ისეთს, როგორცაა დირექტორის მიერ მომზადებული **წლიური ანგარიშისა და სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება**; სამეურვეო საბჭო, თავისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ასევე ითანხმებს სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ **სკოლის წესდების** პროექტს, ამტკიცებს პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული **სასკოლო სასწავლო გეგმებსა** და შერჩეული **სახელმძღვანელების ნუსხას**.

დირექტორი

სამეურვეო საბჭოსაგან განსხვავებით, დირექტორი წარმოადგენს საჯარო სკოლის აღმასრულებელ ფიგურას, რომლის, როგორც მენეჯერის, ყოველდღიური საქმიანობა სხვადასხვა სახისაა: ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გამოცემა (ბრძანებები)¹⁶, ხელშეკრულებების დადება და რეალური მოქმედების განხორციელება. დირექტორი პასუხისმგებელია, უზრუნველყოს სკოლის ორგანიზაციული და ფინანსური მართვა.

ყოველდღიური მენეჯმენტის გარდა, დირექტორი ამზადებს სკოლის **წესდების, შინაგანაწესისა და ბიუჯეტის პროექტებს**. დირექტორის

პრეროგატივას ასევე წარმოადგენს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, სკოლის განვითარების სტრატეგიის, ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა.

დირექტორი პედაგოგიური საბჭოსთან ერთად მონაწილეობს **სასკოლო სასწავლო გეგმის** შემუშავების პროცესში. ის ანგარიშვალდებულია, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგინოს **ანგარიში** სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

პედაგოგიური საბჭო

პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ორგანოს, რომელიც არ მონაწილეობს სკოლის ყოველდღიურ მენეჯმენტში და ორიენტირებულია სწავლა/სწავლების პროცესის უზრუნველყოფაზე, მისი ხარისხის ამაღლებაზე (მაგალითად, სკოლის **სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავება და პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება**).

პედაგოგიური საბჭო თავისი სტრუქტურით კოლეგიალურ ორგანოს წარმოადგენს, რომელსაც ხელმძღვანელობს 3 წლის ვადით არჩეული თავმჯდომარე. სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც 1 წლის ვადით ირჩევა მოსწავლეთა მიერ მე-7 — მე-12 კლასების მოსწავლეებისაგან. მოსწავლეთა თვითმმართველობა მონაწილეობას იღებს სკოლის მართვაში, მოპოვებული გრანტის განკარგვაში. მოზარდთა უფლებების დაცვისა და მათი ინტერესების მხარდაჭერის მიზნით მოსწავლეთა თვითმმართველობას ჰყავს წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. თვითმმართველობა უფლებამოსილია, შეიმუშაოს რეკომენდაციები სკოლისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით,, მათ შორის საჯარო **სკოლის შინაგანაწესისთვის**. თვითმმართველობა მოსწავლეთა თავისუფალი დროის მიზნობრივი განაწილების მიზნით ქმნის სასკოლო კლუბებს.

დისციპლინური კომიტეტი

დისციპლინური კომიტეტის პრეროგატივას დისციპლინური გადაცდომების განხილვა წარმოადგენს. სამეურვეო საბჭოს მიერ კომიტეტის წევრები ერთი წლის ვადით აირჩევა. მის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი და საშუალო

საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა გადაცდომების შემთხვევებს და, საჯარო სკოლის შინაგანანესიდან გამომდინარე, შესაბამის სახდელებს უწესებს მათ.

2.3. მონიტორინგის შედეგები

2.3.1. კანონით დაკისრებული ფუნქციების შესრულების მონიტორინგი

სამართლებრივი მონიტორინგის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად ასრულებდნენ საჯარო სკოლები (საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები) მათზე კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს. ამ მიმართულებით ჩატარდა არამართო მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული ქმედებების კანონიერების მონიტორინგი, არამედ უმოქმედობის სამართლებრივი შეფასებაც.

ამიტომ მონიტორინგის ამ ეტაპზე აუცილებელი იყო, გამოკვეთილიყო, თუ რა ფუნქციას ასრულებენ საჯარო სკოლების სტრუქტურები დღევანდელი სკოლის რეალობაში, რამდენად იცავენ და იყენებენ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, პრაქტიკულად როგორია მდგომარეობა უფლებამოსილებების განხორციელების სფეროში. ასევე უნდა შემონიშნულიყო კანონმდებლობის საკმარისობა თითოეული სტრუქტურის მიზნებსა და ფუნქციებთან მიმართებით, განსაზღვრულიყო, თანხვედრა თუ არა კანონმდებლობის სხვა დებულებები როგორც ამ მიზანს, ისე ერთმანეთს.

მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, გაანალიზებულ იქნა თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ მონიტორინგის ყველა ეტაპზე მონოღებული დოკუმენტაცია, რომელიც შეჯერდა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრისა და ინტერვიუების დროს გამოთქმულ მოსაზრებებთან.

საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოები

ზოგადი სურათი

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სამეურვეო საბჭოების დიდი ნაწილი არ ფლობს სრულ ინფორმაციას საკუთარი კომპეტენციის შესახებ და ზოგ შემთხვევაში სცდება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს. მათ არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რათა სამეურვეო საბჭო აქციონ ქმედით ორგანოდ; საბჭოების ნაწილი არც ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ რა ფუნქციის შესრულება შეუძლია სამეურვეო საბჭოს, როგორც სკოლის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს.

კონკრეტული შედეგები

სამეურვეო საბჭოების დიდი ნაწილი არ ფლობს სრულ ინფორმაციას საკუთარი კომპეტენციის შესახებ და ზოგ შემთხვევაში სცდება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს. მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს:

- სამეურვეო საბჭოები განიხილავენ სკოლაში მორიგეობის შემოღების საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებებს მის შესახებ. ეს კი დირექტორის ფუნქციებს განეკუთვნება.¹⁷
- ერთ-ერთი სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ განისაზღვრა პედსაბჭოს ფუნქციები, მაშინ, როდესაც ეს ფუნქციები ჩამოყალიბებულია საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“.¹⁸

იმ დასკვნის დასადასტურებლად, რომ **სამეურვეო საბჭოები არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარი კომპეტენციის ფარგლების შესახებ**, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებიც გამოდგება: თავიანთი ფუნქციებიდან გამომდინარე, სამეურვეო საბჭოები ვალდებული არიან, განიხილონ და დაამტკიცონ სკოლის შინაგანაწესი. მონიტორინგის დროს შესწავლილი შინაგანაწესების უმრავლესობა კი არაკვალიფიციურადაა დანერგილი და ბევრ შემთხვევაში მათი მუხლები ეწინააღმდეგება კანონს (*იხ. თავი 2.3.3. „სკოლის შინაგანაწესი — სკოლის შიდა ნორმატიული აქტი“*); უფრო მეტიც, აღმოჩნდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი სკოლის შინაგანაწესი სამეურვეო საბჭოს ნაცვლად პედაგოგიურმა საბჭომ დაამტკიცა.

როგორც მონიტორინგმა გვიჩვენა, **სამეურვეო საბჭოს წევრებს არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რათა სამეურვეო საბჭო აქციონ ქმედით ორგანოდ.** სამეურვეო საბჭომ უნდა იზრუნოს სკოლის იმიჯზე, მისი პოპულარობის გაზრდაზე. ამ კუთხით მან თავის საქმიანობაში უნდა დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები: შეხვედრები საზოგადოებასა და თემთან, მასმედიასთან ურთიერთობა, სკოლის საჭიროებების შესახებ წინადადების დაყენება ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე, სკოლისთვის დამატებითი დაფინანსების მოძიება, დირექციასთან ერთად სტრატეგიის განსაზღვრა და გეგმის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს სკოლის ბენეფიციარების ჩართულობას. მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხილულ სამეურვეო საბჭოების ოქმებში არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი არ ფიგურირებს.

სკოლების წესდებით განსაზღვრულია, რომ სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ოპერაციულ ერთნობიან გეგმას უნდა ამტკიცებდეს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგის პროცესში 15 სკოლიდან გამოთხოვნილი მასალების მიხედვით, მხოლოდ 4 სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი.

აღნიშნული დოკუმენტაციის არარსებობა არღვევს საჯარო სკოლების საკანონმდებლო ბაზის აღსრულების ვალდებულებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის სკოლის განვითარებას. სკოლებს არა აქვთ სტრატეგიული ხედვა. ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის დროს ორი მიზეზი გამოიყო:

- 1) სკოლების წარმომადგენლებს არ ჰყოფნით კვალიფიკაცია აღნიშნული დოკუმენტაციის მოსამზადებლად.
- 2) მათ ურჩევნიათ სკოლის სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესი იყოს ცენტრალიზებული და ყველას ჰქონდეს ერთი სახის სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებული იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

სამეურვეო საბჭოების ნაწილი არ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ რა ფუნქციის შესრულება შეუძლია სამეურვეო საბჭოს, როგორც სკოლის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს. როგორც სამეურვეო საბჭოების ოქმებიდან ჩანს, საბჭოს სხდომებზე ძირითადად განიხილება მხოლოდ საკითხები, რომელთა გადაწყვეტის გარეშე სკოლის ფუნქციონირება არალეგიტიმურია და მინიმალურ აუცილებლობას წარმოადგენს.

სამეურვეო საბჭოები ფორმალურად ფუნქციონირებს და მათ მიერ განხილული საკითხები ოქმების მიხედვით ძირითადად შემოიფარგლება:

- ა) სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებით (სკოლის ბიუჯეტები ყველა სკოლის ოქმების მიხედვით, პირველივე მოსმენით, ცვლილებების გარეშე, მტკიცდება)
- ბ) სკოლის გეგმების (ოპერაციული და სტრატეგიული) და შინაგანანხის დამტკიცებით (ასევე ყოველგვარი ცვლილებების გარეშე, პირველივე მოსმენით, მტკიცდება გეგმებიც და შინაგანანხისც)
- გ) სკოლის დირექტორების ანგარიშის მოსმენით
- დ) დისციპლინური კომიტეტის არჩევით (ეს საკითხი მხოლოდ 2 სკოლის სამეურვეო საბჭოს ჰქონდა განხილული)
- ე) სამეურვეო საბჭოს ახალი წევრების დამტკიცებით
- ვ) პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმების შეთანხმებით (ასევე ყოველგვარი კომენტარის გარეშეა თითოეული სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, მაშინ, როცა სასწავლო გეგმაში შედის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი არჩევითი საგნები, რომელთა სწავლება სკოლის ბიუჯეტიდან ფინანსდება)
- ზ) სასწავლო სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმებით

შესწავლილი ოქმების მიხედვით, სამეურვეო საბჭოების უმრავლესობას განუხორციელებელი რჩება შემდეგი ფუნქციები:

1. წლიური ანგარიშის დამტკიცება (მხოლოდ 5 სკოლის სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა 2009 — 2010 სასწავლო წლის განმავლობაში დირექტორის მიერ მომზადებული წლიური ანგარიში)
2. დისციპლინური კომიტეტის არჩევა (2009 — 2010 სასწავლო წლის განმავლობაში მხოლოდ 5 სკოლის სამეურვეო საბჭომ აირჩია დისციპლინური კომიტეტი)

აღსანიშნავია მეტად მნიშვნელოვანი მომენტიც: სამეურვეო საბჭოების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება. მოწოდებულ ოქმებს შორის 12-ში სწორედ ეს საკითხია განხილული. იმის გამო, რომ სახელმძღვანელოების ნუსხა მტკიცდება სწავლის დაწყებამდე, ფაქტობრივად, უმეტეს შემთხვევაში სამეურვეო საბჭოში შემავალი მოსწავლეთა თვითმმართველობების წევრები სხდომებს არ ესწრებიან. მოსწავლეები ვერ იღებენ მონაწილეობას ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ფოკუს-ჯგუფის დროს გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, სამეურვეო საბჭოები „კიდევ ერთი ტვირთია სკოლის დირექტორებისთვის“ (როგორც ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის მონაწილე ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა განაცხადა). „ფაქტობრივად, სამეურვეო საბჭოების გასაკეთებელს ჩვენ ვაკეთებთ. აკრედიტაციისათვის მჭირდება ოქმები და იძულებული ვარ, მე ვიზრუნო მათს მომზადებაზე“. მეორე მონაწილემ ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „ახალი არჩევნების შემდეგ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები, „დიდრო“, გამახსენდა – ყველაფერი რომ განათდა და გაიმართა, ყველაფერს თავისი ადგილი რომ მიეჩინა ძველ სამეურვეო საბჭოებში, სწორედ მაშინ დადგა ახალი სამეურვეო საბჭოს არჩევის დრო...“

საჯარო სკოლების დირექტორები

ზოგადი სურათი

როგორც აღვნიშნეთ, სკოლის დირექტორი სკოლაში ცენტრალური აღმასრულებელი ფიგურაა კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებით, რომელიც მის მიერ მომზადებულ და გამოცემულ სამართლებრივ აქტებში აისახება. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ დირექტორების ნაწილს არ ჰყოფნის ცოდნა და არ გააჩნია შესაბამისი უნარ-ჩვევები, იზრუნოს სკოლის განვითარებაზე; დირექტორების ნაწილი არ ასრულებს კანონით მოთხოვნილ ვალდებულებას და არ აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს, თუმცა, როგორც მონიტორინგმა გვიჩვენა, მათ, ძირითადად, იციან თავიანთი უფლებამოსილების ფარგლების შესახებ.

კონკრეტული შედეგები

იმის დასადასტურებლად, რომ **დირექტორების ნაწილს არ ჰყოფნის კვალიფიკაცია და არ გააჩნია შესაბამისი უნარ-ჩვევები, იზრუნოს სკოლის განვითარებაზე**, შესაძლებელია, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- 15-დან მხოლოდ 4 სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (ალსანიშნავია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა მხოლოდ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ პარტნიორ სკოლებს აღმოაჩნდა).
- 15 სკოლიდან მხოლოდ 10-მა (მათ შორის 6 „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ პარტნიორია) მოგვანოდა სკოლის ოპერაციული 1-წლიანი გეგმა (შემოქმედის, ჩოხატაურის 1, ლანჩხუთის 1, მერიის, ნატანების, ლიხაურის, ლანჩხუთის 3, ლესის, ოზურგეთის 2, ლანჩხუთის 1 საჯარო სკოლები).
- 2 სკოლაში დირექტორმა შინაგანანესი დასამტკიცებლად წარადგინა პედაგოგიურ საბჭოში სამეურვეო საბჭოს ნაცვლად.
- მომზადებულ შინაგანანესთა უმეტესი მუხლები არ შეესაბამება და ეწინააღმდეგება კანონს (*იხ. თავი 2.3.3. „სკოლის შინაგანანესი — სკოლის შიდა ნორმატიული აქტი“*).
- მხოლოდ 4 სკოლის შინაგანანესშია შეტანილი სკოლის თანამშრომლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები.

როგორც მონიტორინგმა გვიჩვენა, **დირექტორების ნაწილი არ ასრულებს კანონით მოთხოვნილ ვალდებულებას და არ აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს**¹⁹ (დირექტორი ვალდებულია, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ჩააბაროს სამეურვეო საბჭოს ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ).

- 2009 — 2010 სასწავლო წლის განმავლობაში 15 სკოლიდან მხოლოდ 3 სკოლის დირექტორმა დაიცვა კანონით განსაზღვრული ვადა, ანუ 10 დეკემბრამდე ჩააბარა ანგარიში სამეურვეო საბჭოს.
- 15 სკოლიდან 5-მა დირექტორმა ვადების დარღვევით ჩააბარა ანგარიში სამეურვეო საბჭოს.
- 9 დირექტორმა საერთოდ არ წარადგინა ანგარიში სამეურვეო საბჭოში.
- 4 ანგარიშში აქცენტი გაკეთებულია სკოლის ფინანსურ საკითხებზე და არა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. წერილობით ანგარიშებს არ ახლავს სასწავლო პროცესის ანალიზი შესაბამისი დასკვნებით.

სკოლების დირექტორების მიერ გამოცემული ბრძანებების შესწავლამ საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნა: **დირექტორებმა, ძირითადად, იციან თავიანთი**

უფლებამოსილების ფარგლების შესახებ. სკოლებიდან გამოთხოვნილი დირექტორების ბრძანებების აბსოლუტური უმრავლესობა (496) არ სცდება უფლებამოსილების საზღვრებს.

პედაგოგიური საბჭოები სკოლებში

ზოგადი სურათი

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ პედაგოგიური საბჭოების უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას საკუთარი უფლებამოსილების შესახებ, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში სკოლების პედაგოგიური საბჭოები სცდებიან თავიანთ კომპეტენციებს ან ბოლომდე ვერ ასრულებენ კანონით დაკისრებულ მოვალეობებს.

კონკრეტული შედეგები

პედსაბჭოს მთავარი დანიშნულებაა სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა. როგორც მონიტორინგმა აჩვენა, **პედაგოგიური საბჭოების უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას საკუთარი უფლებამოსილების შესახებ, მაგრამ ისინი ბოლომდე ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სკოლაში** (არც ერთი სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე არ განხილულა საგნების სწავლების მდგომარეობა; არ მზადდება ანალიტიკური ინფორმაცია ამა თუ იმ სასწავლო წელს სხვადასხვა საგანში მოსწავლეთა და პედაგოგთა წარმატებებზე/წარუმატებლობაზე. შესაბამისად, არ შემუშავებულა რეკომენდაციები მდგომარეობის გამოსასწორებლად. პედსაბჭოს ოქმები, ძირითადად, მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს მოსწავლეთა რაოდენობაზე კლასების მიხედვით, ინფორმაციას აკადემიური მოსწრების, საათების განაწილებისა და კლასიდან კლასში მოსწავლეთა გადაყვანის შესახებ.

მონიტორინგმა გვიჩვენა, რომ ზოგჯერ **სკოლების პედაგოგიური საბჭოები სცდებოდნენ თავიანთ კომპეტენციებს**, ასე, მაგალითად:

- დაფიქსირდა 2 შემთხვევა, როდესაც პედაგოგიურმა საბჭომ მოსწავლის დისციპლინის საკითხი განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება სახდელის დაწესების შესახებ (დისციპლინური კომიტეტის ფუნქცია).
- 1 სკოლაში შინაგანაწესი დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ.

დისციპლინური კომიტეტები სკოლებში

ზოგადი სურათი

საქართველოს კანონმა „ზოგადი განათლების შესახებ“ დისციპლინური საკითხების გადაწყვეტა სკოლებს მიანდო, რათა გაზრდილიყო სკო-

ლის თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხი, მაგრამ ჯერჯერობით სკოლები ვერ იყენებენ ამ ფუნქციას და არ ანიჭებენ მას სათანადო მნიშვნელობას. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ საჯარო სკოლები სათანადოდ ვერ აცნობიერებენ დისციპლინური კომიტეტების მნიშვნელობას; ამ კომიტეტების წევრები ხშირ შემთხვევაში არ იცნობენ და არა აქვთ გათავისებული თავიანთი უფლება-მოვალეობები.

კონკრეტული შედეგები

დისციპლინური კომიტეტების შესახებ გაკეთებული დასკვნების არ-გუმენტირებისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- 15 სამიზნე სკოლიდან მხოლოდ 8-მ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმები. დანარჩენ 7 სკოლაში 2009 — 2010 სასწავლო წელს არ ფუნქციონირებდა დისციპლინური კომიტეტი, მართვის სავალდებულო ორგანო. ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა განაცხადა: **„სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, ატარებს სხდომებს, თუმცა ოქმები არ გაფორმებულა“**.
- არც ერთი სკოლის დისციპლინურ კომიტეტს არა აქვს შემუშავებული მუშაობის წესები; სკოლის შინაგანანგეში არ არის ასახული დისციპლინური კომიტეტის უფლება-მოვალეობები.
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის 2 ოქმში დაფიქსირებულია შემთხვევა, როცა სხდომას სკოლის დირექტორი თავმჯდომარეობდა.
- 1 სკოლის ოქმიდან ირკვევა, რომ დისციპლინურმა კომიტეტმა დაანება სახდელი – მშობელთან გასაუბრება. ეს არ შეიძლება იყოს სახდელი; კანონით ისედაც განსაზღვრულია, რომ დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი ვალდებულია, მშობლებს შეატყობინოს შვილის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესახებ და გაესაუბროს მათ მოსწავლესთან ერთად.
- ერთ-ერთი სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ დისციპლინურმა კომიტეტმა მოსწავლის მიმართ გამოიტანა ასეთი გადაწყვეტილება: **„გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და აღნიშნული საქციელი გახდეს მსჯელობის საგანი კლასებში“**. ოქმიდან არ ჩანს, შეისწავლეს თუ არა დისციპლინური კომიტეტის წევრებმა საკითხი, ჩაატარეს თუ არა წინასწარი საუბრები ბავშვსა და მის მშობლებთან, გაითვალისწინეს სხვადასხვა გარემოებები (თუკი ასეთი არსებობდა) თუ მხოლოდ კლასის დამრიგებლის ინფორმაციაზე დაყრდნობით დაანესეს სახდელი. რაც მთავარია, ოქმის მიხედვით, გადაცდომა მოსწავლემ ჩაიდინა არასაგაკვეთილო დროს და არა სკოლის ტერიტორიაზე. კანონიდან გამომდინარე, სკოლამ (დისციპლინურმა კომიტეტმა) ასეთ შემთხვევაში უნდა დაასაბუთოს თავისი ინტერესი, თუ რატომ განიხილავს გადაცდომას²⁰.

როგორც ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის მონაწილე ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა განაცხადა და სხვებიც დაეთანხმნენ, „დისციპლინური კომიტეტების შესახებ კანონში განმარტებები ძალზე ბუნდოვანია“.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობები

ზოგადი სურათი

15 საჯარო სკოლიდან მხოლოდ 6-მა საჯარო სკოლამ (ამ სკოლების მოსწავლეთა თვითმმართველობების განვითარებაზე „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ 5 წლის მანძილზე მუშაობს) მოგვანოდა მოსწავლეთა თვითმმართველობების დოკუმენტაცია. როგორც ამ ოქმებიდან ჩანს, აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეები აყენებენ წინადადებებს დირექციისა და სამეურვეო საბჭოების წინაშე, მათ აქვთ საკუთარი ოთახი და ამზადებენ პროექტებს, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს.

კონკრეტული შედეგები:

სკოლის ადმინისტრაციები მოსწავლეთა თვითმმართველობებს ვერ აღიქვამენ სერიოზულ ორგანოდ და ის მხოლოდ ფორმალური წარმონაქმნი ჰგონიათ.

გაკეთებული დასკვნის დასაბუთებისათვის მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს, რომლებიც დაფიქსირდა მოსწავლეთა თვითმმართველობების დოკუმენტაციის გამოთხოვნის დროს:

- 4 სკოლის თვითმმართველობის დოკუმენტაცია დირექტორის კაბინეტში იყო „ჩაკეტილი“.
- 3 სკოლაში გვითხრეს, რომ მათ არ გააჩნიათ შესაბამისი დოკუმენტაცია.
- 1 სკოლაში საერთოდ არ იცოდნენ, რომ საჭირო იყო თვითმმართველობების სხდომების ოქმების წარმოება.

როგორც ფოკუს-ჯგუფის შეხვედრაზე გამოვლინდა, სკოლების დირექციები მოსწავლეთა თვითმმართველობებს აიგივებენ საბჭოთა პერიოდის ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და მათს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციად სკოლაში დისციპლინის დაცვა მიაჩნიათ; მაგალითად, ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ ასეთი ფრაზა დააფიქსირა:

- „როცა მოსწავლეები გაკვეთილს აცდენენ, რას აკეთებს მოსწავლეთა თვითმმართველობა?“.

მონიტორინგმა ასევე წარმოაჩინა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, კერძოდ, მოსწავლეთა ინდიფერენტული დამოკიდებულება მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიმართ. როგორც ოქმების შესწავლამ გამოავლინა, თვითმმართველობები სრულყო-

ფილად არ/ვერ ამზადებენ და აყენებენ ინიციატივებს სკოლის დირექციის წინაშე.

- მხოლოდ 7 სკოლის ოქმებში იყო დაფიქსირებული კონკრეტული წინადადებები (მათ არ გააჩნდათ ჩამოყალიბებული ინიციატივის ფორმა, არ იყო განსაზღვრული პრობლემის გადაჭრის გზები და მეთოდები).

ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის მონაწილე მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობების მიმართ შემდეგი შინაარსის გამოთქმებია გავრცელებული:

- „თქვენს საქმეებს თქვენ თვითონ მიხედეთ“.
- „მოსწავლეთა თვითმმართველობა თქვენ ხართ და ეს პრობლემა თქვენ უნდა მოაგვაროთ“.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მოსწავლეთა განცხადებით, დირექციები ხშირად იგნორირებას უკეთებენ მათს ინიციატივებს. მოსწავლეებს სულაც არ ხიზლავთ მსგავსი დამოკიდებულება და მალევე უნელდებათ ენთუზიაზმი. ისინი სწორედ ამ მიზეზით ამართლებენ საკუთარ ინდიფერენტულობას.

2.3.2. საჯარო სკოლის სამართლებრივი დოკუმენტაციის მონიტორინგი

ხშირია შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში არსებული პრობლემები (დარღვევები) განპირობებულია სამართლებრივი ხარვეზებით. პრობლემა შეიძლება გამოწვეული იყოს კანონის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტებით და არა კანონის არასაკმარისობით. იგივე მდგომარეობაა საჯარო სკოლებთან მიმართებითაც, საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები, თავიანთი კომპეტენციებიდან გამომდინარე, ამზადებენ და გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს, რომელთა მიზანიცაა, დეტალურად დაარეგულირონ ესა თუ ის საკითხი სკოლის შიგნით. შესაბამისად, მონიტორინგის დროს აუცილებელი იყო, გამოკვეთილიყო საჯარო სკოლების სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული და გამოცემული სამართლებრივი აქტების ხარვეზები. მიზნიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნა მონიტორინგის ყველა ეტაპზე თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია.

სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის ოქმები

ზოგადი სურათი

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი) ოქმების წარმოების პროცესი დაბალი ხარისხისაა. მონოდე-

ბული ოქმების უმრავლესობა არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით²¹ გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კონკრეტული შედეგები

ოქმების გაფორმებაში ბევრი ხარვეზი გვხვდებოდა, ასე, მაგალითად:

- ოქმებში არ არის მითითებული აუცილებელი რეკვიზიტები: თავმჯდომარისა და მდივნის ვინაობა, მონაცემები სხდომაზე დამსწრე პირთა შესახებ (ვინაობა და რაოდენობა), სხდომის დღის წესრიგი.
- ხშირ შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი პირების (თავმჯდომარისა და მდივნის) ხელმოწერები გადაწყვეტილებებზე.
- არ არის აღნიშნული კენჭისყრის შედეგები.

პედაგოგიურ საბჭოებში ოქმების წარმოება უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე სამეურვეო საბჭოებსა და დისციპლინურ კომიტეტებში, რაც, სავარაუდოდ, პედაგოგიური საბჭოს, როგორც სკოლების ტრადიციული სტრუქტურული ერთეულის, მრავალწლიანი გამოცდილებით აიხსნება.

რაც შეეხება **დისციპლინურ კომიტეტებს**, ოქმების შესწავლის შემდეგ გამოვლინდა, რომ ოქმების უმრავლესობაში არ არის მითითებული:

- რა სახის გადაცდომა ჩაიდინეს მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა;
- ესწრებოდნენ თუ არა სხდომას მოსწავლეები და მათი მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები;
- რა მუშაობა განახორციელეს წინასწარ დისციპლინური კომიტეტის წევრებმა აღნიშნული საკითხის შესასწავლად;
- რამდენად იყო დაცული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსწავლეთა უფლებები, გათვალისწინებული იყო თუ არა შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები;
- ყველა მოსწავლეს დაუწესეს თუ არა შესაბამისი სახდელი, ინდივიდუალურად იყო თუ არა შესწავლილი თითოეული მოსწავლისა და პედაგოგის გადაცდომა.

სკოლის დირექტორების ბრძანებები

ზოგადი სურათი

საჯარო სკოლის დირექტორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიცავს წერილობით დასაბუთებას, რომელიც წინ უძღვის აქტის სარეზოლუციო

ნაწილს. აქტივი ასევე უნდა მიეთითოს ამ აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძველი და მას აუცილებლად უნდა ახლდეს შემდეგი რეკვიზიტები: უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარი, სახელი, ხელმოწერა და გამოცემის თარიღი.

გამოვლინდა, რომ სკოლის დირექტორების მიერ გამოცემული ბრძანებების ხარისხობრივი მაჩვენებელი (რაც გულისხმობს შინაარსის გამართულობასა და კანონთან შესაბამისობას) უფრო მაღალია, ვიდრე სკოლის სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებისა, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში ბრძანებების ტექსტი და ფორმა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კონკრეტული შედეგები

გამოთხოვნილი ბრძანებები, ძირითადად, კარგადაა მომზადებული, თუმცა შეინიშნებოდა ცალკეული ხარვეზები მათი გაფორმების შემთხვევაში:

- არ იყო მითითებული საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიცა ეს ბრძანება.
- ბრძანება არ იყო ხელმოწერილი.
- არ იყო მითითებული ბრძანების გამოცემის თარიღი.

2.3.3. სკოლის შინაგანაწესი — სკოლის შიდანორმატიული აქტი

ზოგადი სურათი

სკოლის შინაგანაწესის დოკუმენტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ნორმატიულ აქტს, რომელიც ავსებს საჯარო სკოლის წესდებას. შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვნის წესები, მუშაობის რეჟიმი, დასვენების დრო. ის ასევე ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს, სკოლიდან მოსწავლეთა გადაყვანის პირობებს.

